პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 აგვისტო, ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 197 (15714)

ჩვენ ვალდებულნი ვართ — უკოფას ტაკვაღელი

მოკრეფილია 237.373 ტონა

კიდევ უფრო გავაძლიეროთ კრეფის ტემპი, გავაუმჯობესოთ ხარისხი

ჩვენი მეჩაიეები დღითიდღე უახლოვდებიან დასახულ მიჯნებს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 აგვისტოს ცნობებით უკვე მოკრეფილია 237.373 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ვალდებულების შესასრულებლად კიდევ მოსაკრეფია 47 ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. მარტო პირველი აგვისტოდან 20 აგვისტომდე რესპუბლიკაში მოიკრიფა 22.511 ტონა. შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილი იყო 233.394 ტონა.

როგორია მეჩაიეობის რაიონების ვეგმა-ვალდებულების შესრულება და საფასსობრივი მაჩვენებლები? აფხაზეთში მოკრეფილია 46.258 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური ვალდებულების 88 პროცენტი. ბალის რაიონში მოიკრიფა 24.075 ტონა, რაც დავალების 86 პროცენტს შეადგენს. ოჩამჩირელებს დავალება შესრულებული აქვთ 92 პროცენტით.

აჭარელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 36.196 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს დავალების 82 პროცენტია და შარშანდელ დონეს კვლავ ჩამორჩებიან. ეს ჩამორჩენა ძირითადად მოდის ქობულეთის რაიონზე. მახარაძელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს 40.736 ტონა, ანუ დავალების 80 პროცენტი. მახარაძელებს შარშანდელთან შედარებით 1.300 ტონით ნაკლები აქვთ მოკრეფილი. ზუგდიდელებმა მოკრიფეს 30.376 ტონა „მწვანე ოქრო“ და დავალება შესრულებული აქვთ 81 პროცენტით. მათ ჯერ ვერ მიაღწიეს შარშანდელ დონეს.

 წალენჯიხის რაიონში გეგმა-ვალდებულება შესრულებულია 79 პროცენტით, გეგეჭკორის — 88, ლანჩხუთის — 81, ჩხოროწყუს — 80, ჯუსტასპარის — 87, წყალტუბოს — 84, ცხაკაიას — 89, წულუკიძის — 83, ხობის — 84, სამტრედიის რაიონში — 81 პროცენტით, ხოლო ტყიბულში — 89 პროცენტით.

რესპუბლიკაში მოკრეფილი 237.373 ტონიდან პირველი ხარისხისაა 151.950 ტონა, ანუ საერთოდ მოკრეფილის 64 პროცენტს შეადგენს. გუდაუთის რაიონში მოკრეფილი ნედლეულიდან 72 პროცენტი პირველი ხარისხისაა, გულრიფშის — 81, გალის — 69, ხელვაჩაურის რაიონში — 69 პროცენტი.

მთელ რიგ რაიონებში ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლები უფრო არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, მახარაძის რაიონში მთელი მოკრეფილი ნედლეულიდან პირველი ხარისხისაა 61 პროცენტი, ზუგდიდის — 62, წალენჯიხის — 61, გეგეჭკორის — 64, ლანჩხუთის — 61, ჩხოროწყუს — 64 და ა. შ.

285.000 ტონა ჩაისათვის

მასწავლებელთა დიდი ფორუმები

ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მთელი საქმის შემდგომ სრულყოფას, ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ სკოლების მუშაობა შევუსაბამოთ კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. — ამას გვავალებს ახალგაზრდობის საყოველთაო ხაუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. ეს უნდა გითვალისწინონ ჩვენმა სკოლებმა და გადადგან ამ მხრივ მკვეთრი ნაბიჯი.

საფუძველთა საფუძველი, უმთავრესი საგანი მსჯელობისა, ცხადია, იქნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები.

განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა უნდა მიაქციონ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლას.

დავაჩქაროთ წარმოების ტემპი, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება, — ეს ძირითადი მომართულება რესპუბლიკის ზრომისა და ცხოვრებისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა რომ დაგვისახა, წეთელ ზოლად უნდა გახდეს ყველა სახალხო განათლების ფრონტის მთელ საქმიანობისაც. პარტიული ორგანიზაციები მუდამ უნდა ეხმარებოდნენ ჩვენს სკოლებს იმ ბრძოლაში, რასაც აჩაღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმის გადწყვეტილებათა მოთხოვნების დონეზე სწავლა-აღზრდის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებს აქვთ მითითებანი 1973-1974 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ — ეს არის ბრძოლა სახალხო განათლების დარგში კომუნისტური პარტიის კურსის წარმატებით განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების ზოგადსაგანმანათლებელო და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, ამ ბრძოლაში მთავარი რგოლი სკოლა, მასწავლებელი და საბჭოთა საზოგადოებრიობის ძალების გაერთიანებას ენიჭება, ამას მოითხოვს სახალხო განათლების სფეროში ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების ინტერესები.

1973 წლის მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების სექციური სხდომების სანამუშო თემატიკის ერთ-ერთი პირველი საკითხია რეს პუბლიკის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების დაწყებით კლასებთან მუშაობა, კერძოდ, დაწყებითი კლასების ახალი პროგრამების მეცნიერულ-მეთოდური საფუძვლები. სწავლების ეფექტურობის ამაღლების ძირითადი ფორმები...

საინტერესოდ წარიმართება ბუნებისმცოდნეობის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ქიმიის, უცხოური ენების, ფიზიკური კულტურის, შრომითი სწავლების სექციების საქმიანობა. რაც შეეხება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებს, იგი მუდამ იყო პედაგოგთა აგვისტოს თათბირების დიდი სჯა-ბაასის საგანი, მაგრამ წელს იგი უფრო დიდ ინტერესს იძენს იმ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებათა მეოხებით, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ახლახან მიიღეს. ეს ცნობილი დადგენილება — „რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენაა“ — მხურვალე მოწონებით მიიღეს რესპუბლიკის მშრომელებმა, იგი მადლიერ პედაგოგთა, სახალხო განათლების ორგანოთა სამოქმედო პროგრამა იქნება დიდი რუსი ხალხის ენის სწავლების საქმეში, ენისა, რომელიც საუკუნეთა და მერმისის გონიერ ადამიანთა უტყუარ იარაღად რჩება ცოდნისათვის დიდ ლაშქრობაში.

თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში ეწყობა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა აგვისტოს ზონალური თათბირები 1972-1973 სასწავლო წლის შედეგებსა და მომავლის ღონისძიებებზე ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა შორის აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

მასწავლებელთა მოახლოებული აგვისტოს თათბირები, მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის შრომითი აღმავლობის დღეებში რომ გიმართვია, უთუოდ აღიქვამს ცხოვრების მძლავრ მოწოდებას — აღვზარდოთ ხამშობლოს ღირსეული ადამიანები, — შეგნებულნი, მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებულნი, შრომის მოყვარულნი და მზამყოფნი ემსახურონ მშრომელ ხალხს, ხამშობლოს.

მასწავლებელთა აგვისტოს ტრადიციული თათბირები ახალი სასწავლო წლის წინ ამართება. ცხადია, მსჯელობის მთავარი საგანი იქნება, თუ უფრო მაღალ დონეზე როგორ წარმართოს ეს წელი, როგორი პედაგოგიური მეთოდებით და საშუალებებით მივაღწიოთ უკეთეს წარმატებებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში ამ გადამწყვეტი პერიოდისათვის, როცა უნდა დამთავრდეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესებამ, რაც ახალი პროგრამით მუშაობის პირობებში ხორციელდება, მნიშვნელოვნად უნდა ამაღლოს სწავლა-აღზრდის ხარისხი, ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებელო და პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადების დონე.

კიდევ რამდენიმე დღე, და საპირველსექტემბრო ზარი გვამცნობს ახალი, 1973-1974 სასწავლო წლის დაწყებას. იგი რესპუბლიკის არა ერთ ახალ სასკოლო შენობაში დაირეკება. ეს სკოლებისათვის, მოზარდ თაობის აღზრდისათვის პარტიის, მთავრობის, ხალხის მშობლიური ზრუნვის დადასტურებაა. სკოლამ ამ ზრუნვას უნდა უპასუხოს სწავლა-აღზრდის მაღალი დონით. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა გასული სასწავლო წლის შედეგების ღრმა გაანალიზებით უნდა დასახოს სწავლა-აღზრდის დონის მტკიცედ ამაღლების გზები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, თანამშრომლების ორგანიზაციების, ყველა ადგილობრივი ორგანოს ამ ამოცანის ნამდვილ ბრძოლად ქცევა, ეს ამ ბრძოლაში ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, ეს ამ ბრძოლის ერთ-ერთ ფრონტზე ერთ-ერთ ბრძოლა, ეს ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპ

ჯარტიული ცხოვრება

● „ერთმანეთს ეჯიბრებიან ტყიბულელი რკინიგზელები და მეშახტეები“. ● „ბრძოლა ახლისათვის, მოწინავისათვის“. ● „ურთიერთდახმარება და ურთიერთმიშველება“ ● „ერთი მწყობრით ახალი წარმატებებისაკენ“ ● ტყიბულელთა ძვირფასი თაოსნობა მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

ტყიბული! მეშახტეთა და რკინიგზელთა ქალაქი. დიახი და საქმიანი. მის ქუჩებზე ვერ დაინახავ უქმად მოხეტიალე ადამიანებს. ისინი შემოქმედებითი შრომით არიან გართულნი.

ტყიბულს მაღალი მთები აჭრავს გარს. იგი დგას მიწაზე, რომლის წიაღშია ქვანახშირი — შავი ოქრო, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ, შავი ოქრო, რომელთაც სახელი გაუთქვამ მათს ქალაქს მთელს ქვეყანაში.

მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს არა ქალაქ ტყიბულზე, არამედ მამაცური პროფესიის მის აღამიანებზე — მეშახტეებსა და რკინიგზელებზე, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ეწევიან ბრძოლას ქვანახშირის მოპოვების დონის ყოველმხრივ ამაღლებისა და მისი დაჩქარებით მიტანისათვის მოსმარების ადგილებში — რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში.

ტყიბულში საღამოხანს ჩავედით ამასწინათ — მეშახტეთა და რკინიგზელთა საქმიანობაში დიდნშვნელოვანი ამბის წინ. მაღალი შრომითი განწყობილება მაშინვე ვიგრძენით შახტებშიც, სადაც მისულა მოგიხდა, და რკინიგზის სადგურზეც. ყველაფერი ნათელი შეიჭნა სადგურის უფროსთან მელენტი ფორჩხიძესთან საუბრიდან. მან განეკვეთარება:

— ჩვენ, რკინიგზელებს, დიდი ხნის საწარმოო მეგობრობა გვაქვს მეშახტეებთან. ერთად ვაკეთებთ ერთ საერთო საქმეს. ისინი ქვანახშირის მოპოვებაზე მუშაობენ, ჩვენ კი მას გზავნით მოხმარების ადგილებში. ასე ვთქვათ, ვამთავრებთ მთელ საწარმოო ციკლს. ხოლო რადგან ასეა, გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავაფართოოთ მათთან საქმიანი თანამეგობრობა, საერთო მეცადინეობით მივაღწიოთ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

რა არის აქ ნაბულისხმეში? სადგურ ტყიბულის კოლექტივმა, იანგარიშა რა თავისი შესაძლებლობანი და მიიღო მხედველობაში მოსკოვის რკინიგზის სადგურ ლიუბლინოს კოლექტივის პატრიოტული თაოსნობა წარმოების რეზერვების უფრო სრული გამოყენებისა და ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის, ვალდებულება იკისრა ვაგონების მოცდენის ერთიანი ნორმა ერთი სატვირთო ოპერაციისას შეეცირებინა 0,5 საათით. ამ საფუძველზე გამოთვალისუფლებინა 6 ათასამდე ვაგონი და ქვანახშირით დატვირთვის წლიური გეგმა შეესრულებინა 21 დეკემბრისათვის.

— მაგრამ მეშახტეებთან შეთანხმებული მუშაობა აუცილებელი იყო, — შეუერთა თავისი სიტყვა საუბარს სადგურის პარტბიუროს მდივანმა დავით ქათამაძემ, — და ამიტომ, ბუნებრივია, ჩავაბით ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ვაგონების ტვირთამწყობის რაციონალურად გამოყენებისათვის.

როგორღა მოეიდნენ ამას ქვანახშირის მომპოვებლები. ან რას ამბობს ამის შესახებ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის სატრანსპორტო საამქროს უფროსი ივანე ქასრაშვილი.

— სადგურის მუშაკებთან მჭიდრო საქმიანი კონტაქტების სარეგებლობასა და აუცილებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ისეც გასაგებია ყველასათვის. ჩვენი ორი კოლექტივის მჭიდრო საქმიან თანამეგობრობას მოითხოვს თვითონ ცხოვრება, საერთო ინტერესები. რაც უფრო სწრაფად მიიღება სადგურიდან ვაგონები, უფრო სრულად დატვირთავ მათ და რაც შეიძლება სწრაფად გაგზავნი დანიშნულებისამებრ, მით უფრო მეტ პროდუქციას გადაზიდავ. ეს მთავარია და ამიტომ იგი ზეთელ ზოლად გასდევს რკინიგზელებთან ჩვენს ერთობლივ ვალდებულებებს.

სადგურ ტყიბულის კომუნისტებმა ქვანახშირის შახტებისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კომუნისტებთან ერთად წარმოების რეზერვების რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენების მიზნით პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის დახმარებით შეიმუშავეს „შეჯიბრებულთა სამახსოვრო“. ეს იმათი განაცხადია, თუ რა და როგორ უნდა აკეთონ, რომ სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ.

შეჯიბრებას კომუნისტები მეთაურობენ

„სამახსოვროში“, კერძოდ, იწერება რკინიგზელთა და ქვანახშირის მომპოვებელთა ვალდებულებანი და მუშაობის მაჩვენებლები ცვლაში, თვეში, კვარტალში. აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია. შეჯიბრების თვალსაჩინობა, რომლის მიღწევა ხდება მუდმივი კონტროლის შედეგად, წარმოშობს ახალ სტიმულს, ყველას საერთო საქმის კურსში ამყოფებს, შესაძლებელს ხდის სწრაფად გამოავლინონ ნაკლოვანებანი და ოპერატიულად აღმოფხვრან ისინი, ამომქმედონ წარმოების ახალი და ახალი რეზერვები.

— სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობასა და მის ქმედითობას, — ამბობს სადგურის პარტიული ბიუროს მდივანი, — ჩვენში თვალს ადევნებს სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ წარმოების მოწინავეები, პარტიის წევრები ვაგონების დამთვალიერებელი გივი გაბრიაძე, მატარებლების შემდგენელი გიორგი ბრეგაძე, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯანეკო ბოჭორიშვილი და სხვები. ოპერატიულად, სამუშაო წესით წყვეტენ ისინი შეჯიბრების მსვლელობაში წამოჭრილ საკითხებს, ავლენენ ნაკლოვანებებს და ხელმძღვანელობასთან, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად პოულობენ მათი რაც შეიძლება წარმატებით და უსწრაფესად გადაჭრისა და აღმოფხვრისათვის საჭირო საშუალებებს.

ასეთივე კომისიები მოქმედებენ შახტებში და ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

რაშია მათი მუშაობის არსი? სადგურ ტყიბულში სოციალისტური შეჯიბრების კომისიამ ამ დღეებში ძლიერ მწვავედ დააყენა ისრების მოდერნიზაციის საკითხი. ისინი აქ ორმოცამდეა. მათი ხელით გადაყვანა სერიოზული შეფერხებაა მუშაობაში და ამასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის წინაშე დასმულ იქნა საკითხი ისრების ელექტროცენტრალიზაციაზე გადაყვანის შესახებ. მან დააყენა აგრეთვე საკითხი მოძველებული სემაფორის თანამედროვე შუქნიშნით შეცვლის შესახებ.

— რიცა ყველაფრის ანგარიში წუთებზე გადავიდა, — ამბობს სადგურის პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ამბ. ბოჭორიშვილი, — სასადგურო მეურნეობის ყველა კვანძი ზუსტად და შეუფერხებლად უნდა მუშაობდეს და ამიტომ ცხადია, ჩვენთან რატომ დადგა ასე მწვავედ საკითხი მოძველებული მოწყობილობის შეცვლაზე.

სულ ცოტა ხნის წინათ, მაგალითად, სადგურზე ბევრი ძვირფასი დრო აკარგებოდა ცვლების ჩაბარებისას. არ იყო მოძრაობის მუშაკთა საიმედო კავშირი სამანევრო ლოკომოტივების მემანქანეებთან და ეს ხშირად აფერხებდა მატარებლების ფორმირებისა და დაშლისათვის მუშაობას. ახლა ყოველივე ამას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა. სატვირთო და სამატარებლო მუშაობა უკვე წარმოებს ორი ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივის სამუშაოთა გეგმის შესაბამისად.

ახლა — ქვანახშირის შახტებისა და ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის — სადგურ ტყიბულის ძირითადი კლიენტების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. იმისათვის, რომ რკინიგზელებთან შეჯიბრება უფრო რიტმულად, შეუფერხებლად მიდიოდეს, ქვანახშირის მომპოვებლებმა დროულად დაიწყეს სადგურისათვის ცარიელ ვაგონებზე ზუსტად დასაბუთებული განაცხადების გადაცემა და დროული ინფორმაციის მიწოდება ვაგონების დატვირთვის დაწყებისა და დამთავრების შესახებ. ამას ხელი ეშლება. როცა იცი დატვირთვის დაწყებისა და დამთავრების დრო, შეუფერხებლად მიაწოდებ ლოკომოტივს და მოაშორებ შემადგენელობას მისადგომი ლიანდაგებიდან და ზუსტად გრაფიკის მიხედვით გაგზავნი მატარებელს დანიშნულებისამებრ, ამით უფრო წარმატებით შეასრულებ ცვლისა და თვის დავალებებს.

— აი ამის მაგალითი, — ამბობს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის სატრანსპორტო საამქროს უფროსი ამბ. ქასრაშვილი. — იმის მეოხებით, რომ ჩვენს ლიანდაგებზე ვაგონების დგომა ერთ საატვირთო ოპერაციაზე 1,1 საათით შეგამცირეთ და ახლა უკვე გვაწვდიან ცარიელ ვაგონებს, წლის დამდეგიდან შევძელით გეგმის გადამეტებით დაგვეტვირთა და დანიშნულებისამებრ გაგვეგზავნა 50 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

შეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივები უფრო შორსაც წავიდნენ. მათს განკარგულებაში არსებულ საწარმოო საშუალებათა სრული კოოპერირება მოახდინეს, გაავრცელეს ეს ლოკომოტივებზე, ამწე მექანიზმებზე, მისადგომ და სასადგურო ლიანდაგებზე და ესეც შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

სოციალისტური შეჯიბრების წარმატება ყოველთვის პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობენ მას პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რამდენად ქმედითს დახმარებას უწევენ შეჯიბრებაში ჩაბმულთ. სადგურის, შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჩინებულად იციან ეს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მეშახტეებსა და რკინიგზელებს შორის შეჯიბრება გაფართოვდეს, უფრო ეფექტური გახდეს. აი რას ამბობს ამის შესახებ სადგურ ტყიბულის მორიგე — პარტიის წევრი მიხეილ გეგენტაძე.

— ჩვენ, სადგურის კომუნისტები, პარტიულის სხდომებსა და პარტიულ კრებებზე ხშირად ვმსჯელობთ სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენთან ლაპარაკი იყო შეჯიბრების თვალსაჩინოებაზე, მოწინავეთა წახალისებაზე, იმაზე, თუ რა უშლის ხელს სადგურის კოლექტივს იმაში, რომ უკეთ, უფრო პროდუქტიულად იმოქმედოს.

— და რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, გამარტავს იგი, — მთელი ძალღონით ვცდილობთ განვახორციელოთ მიღებული გადაწყვეტილებანი. კერძოდ, ჯერ კიდევ არც თუ დიდი ხნის წინათ შეჯიბრების შედეგების შეჯამება ჩვენთან ხდებოდა თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც კი. ახლა კი შედეგების შეჯამება ყოველდღე ხდება და ეს შეჯიბრებაში ჩაბმულთ ეუწყება. ეს ჩვენ, სადგურის მორიგეებს, ძალიან გვეხმარება მუშაობაში. ცვლაში რომ ვდგებით, ჩვენ უკვე ვიცით, რა მაჩვენებლებით მივდივართ წინ ან რა მაჩვენებლებით ჩამოვრჩებთ. ხოლო ოკეი ეს ვიცით, სათანადო ზომებსაც ვიღებთ ჩამორჩენის ასანაზღაურებლად და, რა თქმა უნდა, გამარჯვებულთა წასახალისებლად.

ტყიბულის მეშახტეებსა და რკინიგზელებს სიხარულით აღსავსე, ხალისიანი განწყობილება აქვთ. მუშაობა წარმატებით მზარდი ტემპებით მიმდინარეობს. ეს გასაგებიც არის. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მათი მნიშვნელოვანი თაოსნობა და გზის ხელმძღვანელობას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ შეჯიბრებაში ჩაბმულთ ვაგონების მოცდენის შემცირებისა და მათი ბრუნვის დაჩქარებისათვის, გადადებულ ვალდებულებათა შესრულებაში, წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

სადგურ ტყიბულის კოლექტივი, — ამბობს პარტბიუროს მდივანი ამბ. ქათამაძე, — მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევარში შევიდა, ვამზადებთ პარტიულ კრებას, რომელზეც დეტალურად განვიხილავთ ორწლეულწინდელი შეჯიბრების შედეგებს. დავსახავთ ახალ ზეუდელებს და განვსაზღვრავთ ჩვენი საქმიანობის ამოცანებს. სიძნელეები კარგია ჩაყრილი. ჩვენ არაერთხელ მოგვეფიქა პირველი ადგილი დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ხოლო ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივს, როგორც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 1972 წლის მეოთხე კვარტალში გამარჯვებულს, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს წითელი დროშა მიგვიღია.

— მუშაობაში უდიდესი სტიმული გახდა ის, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი წამოწყება მოიწონა, და ჩვენ, კომუნისტები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი შეჯიბრება ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებთან ფართოვდებოდეს და ვითარდებოდეს, იძლეოდეს თავის ნაყოფს, მოლიანად გამოდიოდეს ჩვენი ორი კოლექტივის ინტერესებიდან.

...საღამოხანს მოვდიოდით ტყიბულიდან. მის გარშემო მთები ბინდმა დაფარა. მეშახტეთა და რკინიგზელთა სახლებში შუქი აინთო. მაგრამ სამუშაო დღე არ დამთავრებულა. მისი ენერგეტიკა ღამის ცვლების მუშაკებმა მიიღეს. მატარებლის მოლოდინში ვეახლებოდით სადგურის კომუნისტებს. ვლაპარაკობდით შეჯიბრების პერსპექტივებზე, ქვანახშირის მომპოვებლებთან ურთიერთკავშირზე, ურთიერთდახმარებაზე. და, რაც მთავარია, იმაზე, რომ გადადებული ვალდებულებანი ვადაზე განხორციელდება, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმა გადაჭარბებით და ვადამდე შესრულდება.

ვლ. ფაიფურაძე.

საქართველოს კომპარტიის დამანილის რაიკომის ბიუროს

გუშინ, 22 აგვისტოს, [illegible] საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის შედეგებისა და რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“. მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა **მ. მ. ყულიევმა.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

პლენუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში საქართველოს კპ დმანისის რაიკომის ბიუროს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო [illegible] — [illegible] კომის მდივანმა **ზ. ა. ნანეიშვილმა.**

განხილულია აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე დადასელასთან დაკავშირებით საქართველოს კპ დმანისის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა **ზ. ბ. ბანთაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩეულია **ბ. მ. ხუციშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. პატარიძემ.**

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის

გუშინ, 22 აგვისტოს, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის შედეგები და ბოლნისის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი **თ. ა. ბურნაძე.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა **თ. ი. ხელაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია **თ. მ. გიორგაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. გ. გიგიბერია.**

რაჭიმ ბრკოლდება ხილ-ბოსტნეულის დამზადება?

ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულება 1973 წლის 20 აგვისტოსათვის

(ყველა კატეგორიის მეურნეობაში, პროცენტობით)

	კურკოვანი	თესლოვანი	ბოსტნეული
ახალციხის	20	1	18
ადიგენის	45	1	6
ასპინძის	16	1	3
ხაშურის	69	0,4	9
ქარელის	78	1	5
გორის	50	1	12
კასპის	27	2	5
ბორჯომის	25	—	11
საგარეჯოს	38	0,2	22
გურჯაანის	23	7	93
ხიდისალის	52	13	58
თელავის	146	1	61
ახმეტის	116	5	24
ყვარლის	248	2	94
ლაგოდეხის	63	—	41
გარდაბნის	73	9	38
მცხეთის	46	2	11
მარნეულის	118	9	117
ბოლნისის	102	2	18
დუშეთის	18	0,1	8
თეთრი წყაროს	40	7	16
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	50	1	2
წყალტუბოს	53	0,3	40
სამტრედიის	101	4	64
წულუკიძის	142	—	57
ვანის	225	36	105
მაიაკოვსკის	60	81	60
ზესტაფონის	131	52	55
თერჯოლის	115	58	73
ჭიათურის საქალაქო საბჭო	141	76	3
ხაჩისერის	74	49	11
ორჯონიკიძის	90	—	—
ტყიბულის საქალაქო საბჭო	46	—	—
ამბროლაურის	12	0,4	—
ცაგერის	7	3	—
ამაშის	73	2	60
ცხაკაიის	43	7	—
გეგეჭკორის	70	14	—
ზუგდიდის	81	2	39
ხობის	100,3	7	—
წალენჯიხის	89	6	—
ჩხოროწყუს	130	3	—
მახარაძის	56	0,4	—
ლანჩხუთის	162	0,04	—
ჩოხატაურის	105	8	—
აფხაზეთის ასსრ	40	3	36
აჭარის ასსრ	127	3	39
ს უ ლ	69	4	41

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს მეხილეებმა და მებოსტნეებმა არათუ შეასრულეს წლევანდელი დაძაბული დავალება, არამედ შეავსეს კიდევ 1971-1975 წლების ხუთწლიან-სამეურნეო გეგმის შესრულებაში ხუთწლედის დამდეგიდან წარმოშობილი ხარვეზი.

ამავე დროს, როგორც ხილ-ბოსტნეულის დამზადების მიმდინარეობის ანალიზი გვიჩვენებს, ყველა რაიონმა როდი გამოიტანა სწორი დასკვნები პლენუმზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის გამო გამართულ თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან.

შეუწყნარებლად დაბალია ხილის კრეფისა და დამზადების ტემპი მეხილეობის წამყვან რაიონებში — გორისა და კასპის რაიონებში, კასეში — ლაგოდეხის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში. არ შეუსრულებიათ კურკოვანი ხილის დამზადების გეგმები დასავლეთ საქართველოს რაიონებს — წალენჯიხის, მაიაკოვსკის, ცხაკაიას, მახარაძის, აბაშის, გეგეჭკორის, წალენჯიხის რაიონებს, ტყიბულის, საქალაქო საბჭოს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას. ამ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სახასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მიწათმოქმედთა მთელი საქმიანობა უნდა წარმართონ ამისათვის, რომ მათ შეასრულონ არა მარტო გეგმები, არამედ ვალდებულებებიც, რომლებიც აიღეს კურკოვანი და თესლოვანი ხილის დასამზადებლად. პარტიული კომიტეტები ხათაოვენ უნდა ჩაუდგნენ მეხილეთა ბრძოლას უხვი მოსავლის მოწევიანობისათვის, მკაცრი კონტროლი და აღრიცხვა დაუწესონ მოწეულ პროდუქციას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება.

მთის რაიონების კლიმატური პირობების გამო აქ უფრო გვიან მწიფდება თესლოვანი ხილი, ვიდრე ბარში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მათ ჯერ პასუხი არ მოეთხოვებათ. არც ერთი დღე არ უნდა გავაცდენოთ, უნდა მოვაწყოთ მახობრივი ხილის კრეფა მისი დამწიფების მომენტიდან, ზუსტად აღვრიცხოთ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მიერ მოწეული მოსავალი, უწრუნველვყოთ რაც შეიძლება მეტი ხილის დამზადება.

სეროზულ ამოცანას წყვეტენ რესპუბლიკის მებოსტნეებიც. აგვისტოს დღეებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს პამიდვრის, ბადრიჯნის, ხაიდრეო კომბოსტოს, ბულგარული და ჩვეულებრივი წიწაკის, სუფრის ჭარხლის, ტაფილოს, ხახვის, მწვანილის დამზადება. წარმატებით ახრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს მარნეულის რაიონის მშრომელები. მათ თბილისისა და რუსთავის მოხახლეობას თითქმის 3 ათასი ტონა ზეგეგმითი ბოსტნეული გაუგზავნეს. სანაქებოდ გაისარჯნენ ვანის რაიონის მებოსტნეებიც, რომლებმაც ხავე შეასრულეს წლიური გეგმა და დავალება.

აყოვნებს ბოსტნეულის დამზადებას ამ პროდუქციის უდიდესი მიმწოდებელი — გარდაბნის რაიონი. აქ ვერ შეძლეს ბუნების ჭირვეულობისათვის დაეპირისპირებინათ მალალი ორგანიზებულობა და დისციპლინა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, უწარუნველეყოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე და ამის შედეგად ჩამორჩნენ ბოსტნეულის შესყიდვის გეგმის შესრულებაში. ახეთსავე საუკეთესოს ამსახურებენ გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, მცხეთის, თეთრი წყაროს და მთელი რიგი სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, სახასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

მთელ რიგ რაიონებში ხილბოსტნეულის შესყიდვის გეგმების შეუსრულებლობაში გარკვეული ბრალი მიუძღვით დამამზადებლებსაც, რომლებიც არ იჩენენ ჯეროვან აქტივობას, არ ეძებენ ყველა შესაძლებლობას, რათა პროდუქცია ეყიდინ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ხაკარმიდამო მეურნეობებიდან.

მეხილეებსა და მებოსტნეებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათს მუშაობაზე, ისევე როგორც დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობაზე, დამოკიდებულია ათობით საკონსერვო ქარხნის, რესპუბლიკის მთელი კვების მრეწველობის შეწყობილი შეუფერხებელი საქმიანობა. ხოფლის მშრომელთა კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანაა უზრუნველყონ ამ ჯვების ბრეველი რგოლის ხაიმედოობა.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის

გუშინ, 22 აგვისტოს, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის შედეგები და ბოლნისის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი **თ. ა. ბურნაძე.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

,,კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფამგლეჯეგი ფარ-ხმალს არ ყრიან

რედაქციას უპასუხებს თბილისის საქალაქო სამეურნეო საბჭოს აღმასკომის ეკონომიკის სამმართველო

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით: „ფამგლეჯები ფარ-ხმალს არ ყრიან“.

ამ წერილთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სამეურნეო აღმასკომის ეკონომიკის სამმართველოს უფროსმა ხ. ბილაურმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში დასახელებული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება.

წერილი განხილულ იქნა ამის საკითხზე მოწვეულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა და მიღებულ იქნა შემდეგი ღონისძიებანი.

ცენტრალური უნივერმაღის № 2 ფილიალის დირექტორი ვ. ჯიქია საქონელბრუნვის გეგმის სისტემატიურად შეუსრულებლობისათვის და თანამშრომელთა მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან. ფილიალის გამყიდველი ო. შერმაზანოვი იმპორტული საქონლის გადამალვისათვის ჩამოქვეითებულია სამუშაოზე. გამყიდველ მ. მიქაძეს საკონტროლო სალაროს წარმოების წესის დარღვევისათვის გამოეცხადა საყვედური და მოეხსნა პრემია. შეეკრძალა ტანსაცმლის სექციის გამგე ც. ალიგეგაშვილს თანამშრომლების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადა საყვედური.

№ 8 ფილიალის დირექტორი გ. ბოგუაძე საქონელბრუნვის გეგმის სისტემატური შეუსრულებლობისათვის, თანამშრომლების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის და სწრაფსარეალიზაციო საქონლის გადამალვისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

№ 11 ფილიალის დირექტორს ა. ბერიაშვილს მაღაზიაში გამოვლინებული დარღვევებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური და მოეხსნა პრემია, ხოლო გამყიდველ „საბედნიეროს“ ტრიკოტაჟისა და შეკერილი ტანსაცმლის სექციის გამგე ლ. ბუხრამეიცა სწრაფსარეალიზაციო საქონლის გადამალვისათვის ჩამოქვეითებულ იქნა გამყიდველად. გამყიდველს მ. ლობანიძეს გამოეცხადა საყვედური და მოეხსნა პრემია. მოლარე კონტროლიორს თ. სუსიაშვილს მეკერძოწინთათვის გამოყოფილი საქონლის არადანშნულებისამებრ გაყიდვისათვის გამოეცხადა საყვედური და მოეხსნა პრემია. ბუღალტერ ნ. უგრეხელიძეს ასალდაკორწინებულთა ტალონების და საქონლის ბაგეშის აღრიცხვის მოუწესრიგებლობისათვის გამოეცხადა საყვედური და მოეხსნა პრემია. ფილიალ „საბედნიეროში“ შეიცვალნენ დირექტორი და მოადგილე.

№ 4 ფილიალის სექციის გამგე გ. პატარაკაციშვილი გადაყენებულია სამუშაოდან და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

№ 1 კვებგაჭრობის № 66 მაღაზიის გამგე დ. ბაჯელიძე გაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის კვებგაჭრობის დირექციის ბრძანებით მოეხსნა სამუშაოდან. ხოლო № 78 მაღაზიის გამყიდველი ვ. ბოგდანოვა გადაყენებულია სამუშაოდან და მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ტანსაცმლეგაჭრობის № 33 მაღაზიის გამგე ა. ფუხაევს ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ფეხსაცმლეგაჭრობის № 9 მაღაზიის გამგეს ლ. კობაძიძეს იმპორტული ფეხსაცმლის გადამალვისა და სარეალიზაციოდ გამოუტანლობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მაღაზიის გამგის მოადგილე ა. აკოფოვი ჩამოქვეითებულია და გამყიდველად.

პურეაჭრობის № 21 მაღაზიის გამყიდველი მ. კალაჩანი ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის გადაყენებულია გამყიდველის თანამდებობიდან და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაღაზიის გამგე რ. ხვადაგანი მაღაზიის მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის განთავისუფლებულია გამგის მოადგილეობისაგან.

№ 3 კვებგაჭრობის № 80 მაღაზიის გამყიდველი ჯ. ბასილაშვილი ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის გადაყენებულია თანამდებობიდან და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. • მაღაზიის გამგე ნ. ფალიაშვილი თანამშრომელთა მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის ჩამოქვეითებულია გამყიდველად.

№ 349 ნაგთის ხარეალიზაციო წერტილს გამგე-გამყიდველ ნ. გიქორავილს შემოწმებით გამოუვლინდა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევა, რისთვისაც მოხსნილია სამუშაოდან და მასალები მის მიმართ გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ცენტრალური უნივერმაღის მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევებისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით უნივერმაღის დირექტორი ა. ხარაბელია და მისი მოადგილე ხ. სხირტლაძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის

გუშინ, 22 აგვისტოს, [illegible] საქართველოს კომპარტიის [illegible] რაიკომის პლენუმმა, [illegible] — „[illegible] ორგანიზაციის [illegible] ამოცანების შესახებ“. [illegible] **ბ. ბანთაშვილმა.**

[illegible] ორგანიზაციული საკითხი.

[illegible] **ბ. ბ. ბანთაშვილი.**

[illegible] **ბ. მ. ხუციშვილი.**

[illegible] **ზ. ა. პატარიძემ.**

საქართველოს კომპარტიის

გუშინ, 22 აგვისტოს, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმის შედეგები და ბოლნისის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი **თ. ა. ბურნაძე.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლა **თ. ი. ხელაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია **თ. მ. გიორგაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ტოკიო, 22 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ატკავამ მშვიდობისმოყვარე ძალებს მომავალ მსოფლიო კონგრესს დიდი წარმატება უსურვა მშვიდობის განმტკიცებისათვის, ეროვნულ-განმთავისუფლებელ ნ ლ ი მოძრაობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

იაპონიის ამ უდიდესი პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელმა საკრესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „დაძაბულობა აზიისა და მთელ მსოფლიოში თანდათან იკრძალა. მაგრამ კამბოჯაში ისევ გრძელდება ომი. დღემდე ვერ გამონახა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების მოწესრიგების გზები. ყოველივე ეს მოწმობს, რომ იმპერიალისტურ ძალებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე. ასეთ პირობებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით დარაზმული მშვიდობისმოყვარე ძალების რიგების შემდგომ განმტკიცებას. ომისა და აგრესიის გიგმების წინააღმდეგ მათი ბრძოლის გააქტიურებას. პროფკავშირთა გენერალური საბჭო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მშვიდობისმოყვარე ძალების მომავალ მსოფლიო კონგრესს ამ მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში“.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი ახალ ორლეანში გამოვიდა „უცხოეთში ომების ვეტერანთა“ ყრილობის მონაწილეთა წინაშე.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი პრეზიდენტმა მიუძღვნა კამბოჯის მდგომარეობას და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. პრეზიდენტმა აღიარა, რომ კამბოჯაში საიდუმლო საჰაერო ომი შეერთებულმა შტატებმა დიდუწყო მისი ბრძანებით 1969 წელს — პრეზიდენტის პოსტზე მისი დადგომის ორი თვის შემდეგ. „მე ვბრძანე, — განაცხადა მან, — პირდაპირ და გამუწყვეტლივ გამოეკენებინათ ამერიკის საჰაერო ძლიერება“. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ „საჭირო იყო“ კამბოჯაში საჰაერო ომის წარმოება „საიდუმლოდ შეენახათ“. გ

საქართველოს კურორტებზე

აბასთუმანი გუშინ და დღეს

„აქ ისე ბნელა, რომ ღამით კაცს რომ გარედ გამოსვლა მოუნდეს, კისერს მოიტეხს“... „ექიმი არ არის. წამალი არ არის. კერიებს კი ისეთს მოგიტანენენ, რომ ცუდადმყოფი კი არა, კარგად მყოფიც ავად გახდება“... — ასე წერდნენ გასულ საუკუნეში ზაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში კურორტ აბასთუმნის შესახებ.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღო აბასთუმანმა ნამდვილი კურორტის სახე. ამჟამად აქ ექვსი სანატორიუმია — „აღობილი“, „არაზინდო“, „ზეკარი“, „მესხეთი“, „ვარძია“ და ბავშვთა „ცისარტყელა“. სანატორიუმ „ვარძიაში“ არსებობს ქირურგიული განყოფილება, სადაც წარმატებით ატარებს ოპერაციებს სანატორიუმ „არაზინდოს“ მთავარი ექიმი ზ. სარჯველაძე. კურორტზე მარტო 70-მდე ექიმია, საწოლების რაოდენობა 1.600-ს აღწევს.

აქ არის საკავშირო მნიშვნელობის სანატორიუმებიც („არაზინდო“ და „აღობილი“).

ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან აქ სამკურნალოდ. მათი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნებში მოწმობენ, რომ აქ მკურნალობაც მაღალ დონეზეა დაყენებული.

კურორტი სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება. მის კეთილმოწყობას ხელმძღვანელობს საკურორტო სამმართველო (უფროსი ნ. კახიძე, მთავარი ექიმი ლ. იამანიძე) და სადაო საბჭო (თავმჯდომარე მ. ჩერქეზიშვილი), ახლახან მწყობრში ჩადგა ორსართულიანი უნივერმაღი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაფე. დასასრულს უახლოვდება ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. დამსვენებლებს ვესახურება კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, კინო-თეატრი და სხვა დაწესებულებები.

კურორტზე ბევრი ღირსშესანიშნაობაა. აქ არის უძველესი ეკლესია, რომელიც მე-19 საუკუნეში მოხატა ცნობილმა რუსმა მხატვარმა ნ. ნესტეროვმა. პარკში ნახავთ აკაკი წერეთლის მიერ 1907 წელს დარგულ ფიჭვის ხეს. საინტერესოა „თამარ-ციხე“, „აღტაცების კარი“. აბასთუმნიდან 10 კილომეტრზე მდებარეობს სახელგანთქმული მაღალმთიანი ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ს. ნუცუბიძე.

სურათზე: არხანგელსკელი პიონერები უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან. მ. ტარასოვის ფოტო.

□ □ □

პიონერული ზაფხული

აფხაზეთის კურორტების მრავალრიცხოვან პიონერულ ბანაკებში მხიარულად ატარებენ არდადეგებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პიონერები. ერთ-ერთი ასეთი ბანაკი სოხუმის მე-18 საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული. აქ ისვენებენ ქ. არხანგელსკის ქარხანა „კრასნი“ ოქტაბრისა“ და ხე-ტყის გადამუშავების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პიონერული ბანაკის „მეცნიერების“ პიონერები და მოსწავლეები.

ბანაკელები ყოველდღე საინტერესო, შინაარსიან ღონისძიებებს აწყობენ: გასეირნება ბუნების წიაღში, ქალაქგარეთ ექსკურსიები, ზღვაზე ბანაობა, ვიქტორინები, მხატვრული თვითმოქმედება, — აი, რა იტაცებთ არხანგელსკელ ნორჩ დამსვენებლებს.

სოხუმში უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან პიონერულმა ბანაკმა ამსაწინათო ჩაატარა საინტერესო ღონისძიება — გმირთა ხსოვნის დღე. ორასორმოცდაათი პიონერ-მოსწავლე, ამ დღეს ცოცხალი კვავილების თაიგულებით მოვიდა უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან, სადაც მოეწყო საზეიმო პიონერული ხახლი.

საზეიმო პიონერული ხახლის მონაწილეების წინაშე მოგონებებით გამოვიდნენ პირველი აფხაზი მფრინავი ქალი მერი ავიძბა, საბჭოთა კავშირის გმირი ნიკიფორე უსოვი, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილეები თედორე ნიკოლაენკო, ვალენტინ ბატიუშინი და სხვები. მათ პიონერებს მოუწოდეს იყვნენ სანიმუშონი სწავლაში, უყვარდეთ დედა-სამშობლო ისე, როგორც უყვარდათ პიონერულ ორგანიზაციაში აღზრდილთ — ზოია კოსმოდემიანსკაიას, ოლეგ კოშევოის, ზოია რუხაძეს, შოთა გამცემლიძეს, ვლადიმერ ფაჩულიას...

პიონერებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გმირთა ხსოვნას, ცოცხალი ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის ძეგლი.

ი. გოგიჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფრიალეგს უნივერსიადის ალაპი

22 აგვისტოსათვის საბჭოთა სპორტსმენებმა ვოიკოვეს 48 მედალი, ორჯერ მეტი, ვიდრე დანარჩენი 18 ქვეყნის მონაწილეებმა.

ფინიშს უახლოვდება სტუდენტთა უდიდესი სპორტული ასპარეზობა. ოქროს მედლებისათვის დავას აგრძელებდნენ კალათბურთელები და წყალბურთელები, ფრენბურთელები და წყალში მხტომელები, მოფარიკავეები, პირველი ფინალები გამართეს ჩოგბურთელებმა, სტარტი აიღეს მცურავებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა.

თბილისელი თემურაზ კაკულია და მოსკოველი ვლადიმერ პროროტკინი უნივერსიადა 73-ის ჩოგბურთელთა პაექრობის პირველი ლაურეატები გახდნენ. წყვილთა ფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს ბულგარელი ტაუპი ძმები 24 წლის ბოჟიდარ და მათე პამპულოვები — 6:4, 6:2, 6:2. ამრიგად, მათ პირველებმა საბჭოთა ჩოგბურთელებს შორის მოიპოვეს უნივერსიადის ოქროს მედლები.

ჩოგბურთელთა ასპარეზობა კოკისპირული წვიმის გამო გადატანილ იქნა „შახტიორის“ დახურულ მოედანზე. აქ კი ევროპის ჩემპიონმა მოსკოველმა ოლეგ პროროკინამ და რიგელმა ზაიბა ივანოვამ ოქროს ყელაბას თავიანთი წვლილიც შემატეს, ფინალში მათ დაამარცხეს იაპონელი კაძუკი სავამაცუ და კაეკი ფაკუოკა — 6:0, 6:3.

წყალბურთელთა ფინალურ ტურნირში სენსაცია მოხდა — გერმანიის უფდერაციული რესპუბლიკის გუნდმა დაამარცხა ფავორიტები — უნგრელი სპორტსმენები — 5:2. უნგრელები ოქროს მედლების მაძიებლები იყვნენ, მაგრამ მათ ადრე საბჭოთა გუნდთანაც წააგეს და ახლა მხოლოდ ვერცხლისათვის უნდა იბრძოლონ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აგრეთვე ამერიკელები და კუბელები. თავისუფლების კუნძულის წარმოგზავნილთა — უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 6:4. საბჭოთა წყალბურთელებმა დამამჯერებლად სძლიეს იტალიელებს — 5:0. და ახლა ჩემპიონობის მოსაპოვებლად დარჩენილ ორ მატჩში (ამერიკელებთან და კუბელებთან) ორი ქულაც ეყოფათ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეები სამ ხალიჩაზე ასპარეზობენ. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ბაკოულმა რაფიგ გაჯიევმა, ალმაათელმა ალექსანდრე ივანოვმა, ერევნელმა ალექსანდრე აირაპეტიანცმა, რომლებმაც ბეჭებზე დასცეს მეექვსეული გილერმო მეხი, იტალიელი ერმიტე ტრიპოდი და კანადელი ჯეიმს მილერი. მისსკელმა პროკოფი შესტაკოვმა ტულებით მოუგო მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორს ამერიკელ დონალდ ბემს, მისმა თანაქალაქელმა იური კოროლიოვმა კი წააგო გამოცდილ იაპონელთან აკირო მიახარასთან.

მცურავთა შორის თავის გუნდს პირველი ოქროს მედალი შესძინა მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვლადიმერ გურევმ. 100 მეტრი თავისუფალი სტილით მან თამაშების სარკოდო დროში 52,03 წამში დაფარა. კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურებზე მასთან ერთად იდგნენ ამერიკელები ჯენეტ ნოკსი და დინ ანდერსონი. დაძაბული გამოდგა ფინალი ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. აუზის კედელს ჩვენს ლუდმილა პარურმაიკოზე 0,38 წამით ადრე შეეხო ამერიკელი კმბერინ კარი. გამარჯვებულის დროა 2,42,30 — უნივერსიადის რეკორდი. ამერიკელებმა ამ საღამოს კიდევ ორი ოქრო მოიპოვეს. ალენ პუჩერი პირველი იყო ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში — 56,36 წამი, ხოლო ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ქალთა შორის სელი ტაპლი. — 1.00,33.

ტრამპლინზე გაიმარჯვა მოსკოველმა სტუდენტმა ვიაჩესლავ სტრასხმამ. ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ვასინი მეორე იყო.

ფრენბურთელთა ფინალურ ტურნირში იბრძოლეს საბჭოთა, პოლონელი, სამხრეთ კორეისა და კუბის სპორტსმენები. ოქროს მედლებისათვის ასპარეზობას განაგრძობენ ჩვენი გოგონებიც.

დამნაცვალ მოფარიკავეთა ასპარეზობა მოიგო უნგრელმა ზზბერეა სტრარიმმ.

22 აგვისტოსათვის საბჭოთა სპორტსმენების ოქროს ყელაბაში უკვე იდო 48 მედალი — ორჯერ მეტი, ვიდრე უნივერსიადის მონაწილე დანარჩენი 18 ქვეყნის მთელი მარაგი.

ფეხბურთის ქამბეები

ესპანეთში ერთ-ერთ საერთაშორისო ბლიცტურნირში მონაწილეობს მოსკოვის „დინამო“. პირველი მატჩი დინამოელებმა გამართეს სევილიაში ადგილობრივ „ბეტისთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ფინალში მოსკოველები შეხვდებიან არგენტინის „ინდეპენდიენტესა“ და ესპანეთის „სევილიას“ შორის გამარჯვებულს.

□

ბაშკირეთში დამთავრდა საკავშირო პირველობა „ტყავის ბურთზე“ (13-14 წლის ბავშვებისა ჯგუფი). გაიმარჯვეს ადგილობრივი „იულდუზჩის“ ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს აზერბაიჯანის სსრ ნახჩევანის გუნდი — 2:1. მესამე ადგილი დაიმსახურა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა თბილისის „პიონერმა“.

□

ჩოგბურთი

ი ს ე ვ ამერიკელები

დეკემბრის თასის შარშანდელმა მფლობელებმა ამერიკის შეერთებულ შტატების ჩოგბურთელებმა კალიფორნიის ქალაქ ალამბრა ხაზონათაშორისო მატჩში სძლიეს რუმინელებმ და გათამაშების ფინალში გავიდნენ. მათ მეტოქეს გამოავლენს მეორე საზონთაშორისო ტურნირი ავსტრალიისა. და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს შორის. ეს მატჩი გათვალისწინებულია ნოემბერში ჩატარდეს ავსტრალიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისვენებენ ფეიერვერკები

ამჟამად რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტზე ატარებს კუთვნილ შვებულებას 150-მდე გორელი ფეიერვერკი. პირველი საქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშამ ე. თიბილაშვილმა მწვანე კონცხის საგზური მიიღო, მეორე საქსოვი ფაბრიკის ინსტრუქტორმა ე. ბაშიროვამ ხურმაისა, ამავე ფაბრიკის მუშა-პენსიონერმა ლ. შიმანოვსკაიამ — ლესელიძისა, გამოყვანი ფაბრიკის მუშამ ვ. მძინარიშვილმა ოგვისა, ხოლო საამქროს უფროსმა ე. ელბაქიძემ — ქობულეთისა და ა. შ.

წლის ბოლოამდე რესპუბლიკის სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების საგზურებს მიიღებს კიდევ 150-ზე მეტი ფეიერვერკი.

ი. თეოდორაშვილი.

მასპინძლობს შოვი

შოვში ყოველწლიურად ორი ათასამდე შრომელი ისვენებს, ხოლო ყოველდღიურად მრავალი ექსკურსანტი ათვალიერებს კურორტსა და მის შემოგარენს.

შესანიშნავი მთის კლიმატი, მინერალური წყაროები, ლამაზი ბუნება უფრო მიმზიდველი ხდება კურორტის მომსახურე პერსონალის კარგი მუშაობის წყალობით. შოვი შესანიშნავად მარაგდება კვების პროდუქტებით, ხილით, ბოსტნეულით.

შოვი დღითიდღე იზრდება და მშვენდება. შენდება ახალი დასასვენებელი სახლები, თანამედროვე ტიპის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. შოვი გულუხვად მასპინძლობს სტუმრებს. შოვი სიცოცხლის ელექსირს არიგებს.

დ. ხახიაშვილი.

მეფიცინა და ცხოვრება

გაანკითხვა თავშეუკავებლობისათვის

ავადმყოფობის დამალვა დანაშაულია

ბოლო წლებში თითქმის ყველა ქვეყანაში აღინიშნება ვენერიულ დაავადებათა ზრდა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად დედამიწაზე ათასნაგი 20 მილიონამდე, ხოლო გონორეით 65 მილიონამდე ადამიანი ავადდება. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ინფექციურ დაავადებათა შორის ვენერულ დაავადებებს პირველი ადგილი უჭირავს. და დიდ სოციალურ პრობლემად ითვლება. საზღვარგარეთელი მეცნიერები ამას ოჯახის შემაკავებელი ზეგავლენ ი ს შეხსნებითით, სექსუალური მორალის დაქვეითებით, ტურიზმის გაძლიერებით და სხვა მიზეზებით ხსნიან.

საბჭოთა კავშირში ვენერულ დაავადებათა გავრცელების სოციალურ-ეკონომიური პირობები ლიკვიდირებულია და სიფილისისა და გონორეის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები გვხვდება. მაგრამ არსებობს მათი გადადებისა და გავრცელების საშიშროება. ამიტომ ჩვენ მიზანშწონილად მიგვაჩნია მოსახლეობის ყურადღების გამახვილება ერთეულ ფაქტებზეც კი. ცალკეულ პირთა ავადმყოფს განმეორებით გამოკვლევას, რასაც დაავადების რეციდივი ეწოდება. ასეთი ფარული და რეციდივული პერიოდები ერთმანეთს ცვლიან და ათაშანგი მესამე ხანაში გადადის. ეს სტადია კანზე ძვლებსა და შინაგან ორგანოებში კვანძებისა და სიმსივნური კერების გაჩენით ხასიათდება. ბოლოს ამ კერებში რღვევითი პროცესი იწყება, და თუ დიაგნოზი არ იქნა დადგენილი და მკურნალობა არ დაინიშნა, ავადმყოფი იღუპება.

დაავადება რამდენიმე წელში მეოთხე სტადიაში გადადის — ავადმყოფს ეწყება ფსიქიკის მკვეთრი დარღვევა, პროგრესიული დამბლა, ზოგჯერ ტვინის სიმსივნეც ვითარდება და სხვ.

ათაშანგის ყველა ფორმა გადამდებია, მაგრამ ინფიცირება უფრო ადვილად დაავადების პირველ და მეორე სტადიაში ხდება. ავადმყოფობა ძირითადად სქესობრივი გზით ვრცელდება. ინფიცირება შეიძლება მოხდეს —კოცნით, ხვნისი ბავშვის ძუძუს წოვებით, ავადმყოფის მიერ მონაწილეთა მაბაკოს მოწევით, მის მიერ ნახმარი ჭიქა, კოვზი, პირსახოცი, კბილის ფუნჯი) და სხვ. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის კულტურული დონისა და მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური მატების გამო, ყოფაცხოვრებითი ათაშანგის შემთხვევები მეტად იშვიათია.

ინფექცია დაავადებული დედიდან ნაყოფზე გადადის და ახალშობილი თანდაყოლილი ათაშანგით იბადება. ათაშანგი ხშირად მკვდრად შობადობისა და ნაადრევი შობიარობის მიზეზიც ხდება.

ამრიგად, ათაშანგი პირადი და საზოგადოებრივი უბედურებაა. ის ასნეულებს ყველას, გადადის შაამომავლობაზე, ამოკლებს ადამიანის სიცოცხლეს, ასუსტებს ორგანიზმს და ამზადებს ნიადაგს სხვადასხვა მძიმე დაავადებათა განვითარებისათვის და, ბოლოს, არღვევს ოჯახის ბედნიერებას.

რა უწყობს ხელს ათაშანგის გავრცელებას და როგორ უნდა ავიცილოთ იგი?

დაავადების გავრცელებას უპირველეს ყოვლისა ხელს უწყობს ლოთობა, ალკოჰოლი. მთვრალი ადამიანი კარგავს წინასწარობას, თავდაჭერას, ადვილად ამყარებს კონტაქტს ახალგაცნობილთან და უცნობთანაც კი, თვით სნეულდება და შემდეგ დაავადებასაც ავრცელებს.

ჩვენი რესპუბლიკის მონაცემებით ავადმყოფთა 80 პროცენტი ათაშანგით სიმთვრალეში ავადდება. ვენერულ დაავადებათა გავრცელების მეორე ძირითად მიზეზად ცუდი აღზრდა და თავშეუკავებლობა ითვლება. ახალგაზრდის ბედით არა მხოლოდ ოჯახი და სკოლა, არამედ, მთელი საზოგადოებრიობა უნდა იყოს დაინტერესებული, ყველგან და ყოველთვის უნერგავდეს მას პიროვნებისათვის, ოჯახისათვის, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის ხასარგებლო ჩვევებს.

ათაშანგი მოსარჩენი დაავადებაა და რაც უფრო ადრე დაიწყებს ავადმყოფი მკურნალობას, მით უფრო მალე და ადვილად განიკურნება. თანდაყოლილი ათაშანგისაგან განკურნება კი გაციებით ძნელია, ვიდრე შეძენილისაგან. ამიტომ არის, რომ ათაშანგით დაავადებულებს განკურნებამდე ქორწინების უფლება არა აქვთ. ვენერულ დაავადებათა პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემოხვევითი ინტიმური კავშირების შემდეგ პირადი პროფილაქტიკის დროულად (უჯობესია პირველ 2 საათში) ჩატარებას. ამ მიზნით ყველა ვენდისსანსურთან დღეღამ მუშაობს პროფილაქტიკური კაბინეტი.

არც თუ იშვიათად ვხვდებით თვითმკურნალობის ფაქტებს. ზოგიერთი ამას გახმაურების შიშით მიმართავს, რაც, რასაკვირველია, საფუძველს მოკლებულია. ვენდსანსიუ ლ ებ ებში მომუშავე პერსონალს ამ საკითხში განსაკუთრებული და მეტად მეაცი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ავადმყოფს თვითმკურნალობის შედეგად დაავადების მხოლოდ გარეგანი ნიშნები უქრება, ის ფარულ ფორმაში გადადის და გარდა იმისა, რომ ინფექციის გავრცელების წყაროდ რჩება, შორეული კამოუსწორებელი გართულებები უეთარდება.

რაც შეეხება ავადმყოფთა კერძო პრაქტიკის პირობებში მკურნალობას, ეს განმარტებას არ საჭიროებს, რადგან სამკურნალო დაწესებულებებში გამოკვლევების გარეშე წარმოუდგენელია დაავადების დიაგნოზის დადგენა და მისგან განკურნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მდგომარეობა, რომ კერძო პრაქტიკის პირობებში ექიმი და, სამწუხაროდ, ზოგჯერ არა ექიმიც, ავადმყოფს მკურნალობს მანამდე, სანამ ის მასთან დადის, მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ავადმყოფმა მკურნალობა შეწყვიტა, ექიმი მას აღარ ეძებს, ავადმყოფს დაავადება ურთულდება და ინფექციის გავრცელებას განაგრძობს.

ექიმი, რომელიც კერძოდ მკურნალობს, ასევე არ აკლინებს ინფექციის წყაროსა და კონტაქტებს, არ ამოწმებს ოჯახის წევრებს, რის გამოც მათ დაავადების შორს წასული ფორმები. გამოაჩნდებათ. ამიტომ არის, რომ ზემდგომი ორგანოების ბრძანებით კატეგორიულად აკრძალულია ვენერიულ ავადმყოფთა კერძო პრაქტიკის პირობებში მკურნალობა. იმ პირს კი, ვინც ამ ბრძანებას არ ასრულებს, კანონით მკაცრი სასჯელი ელებათ. ავადმყოფმა მხოლოდ ვენდაწესებულებას უნდა მიმართოს და რაც შეიძლება ადრე, ოდნავ საეჭვო მოვლენების შემჩნევისთანავე.

საგრძნობლად გაძლიერდა ვენერული სნეულებით დაავადებულთა პასუხისმგებლობა. ჩვენი კანონმდებლობა დაავადების შეგნებულად გამაგრცელებელ პირთა სამ-ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სასჯელი ასევე ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ამ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი ამორალური საქციელით ქმნიან ამ დაავადების გავრცელების საშიშროებას.

ამრიგად, ჩვენი მიზანია შეეახსენოთ მოსახლეობას ამ დაავადებების ცალკეული შემთხვევების არსებობა და ვაუწყოთ მათი გავრცელების საშიშროება. ადამიანის მაღალი ზნეობრივი და მორალური სისუფთავე, კეთილსინდისიერი შრომა და ყველაფერში მაღალი პასუხისმგებლობა — ეს თვითეული საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ლ. ფეფრიული,
კანონი და ვენსნეულებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, პროფესორი.

ჩვენს საგამოფენო დარბაზებში

გვიჩვენებენ საბჭოური ტალანტები



საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური გამოფენა, რომელზეც ექსპონირებულია თვითმოქმედი მხატვრებისა და ხალხური ოსტატების ათასზე მეტი ნამუშევარი.

სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებს, სხვადასხვა თაობის ოსტატებს აქ წარმოდგენილი აქვთ თავიანთი ნაწარმოებები საზეიმოა და გამოყენებითი ხელოვნების ყველა ჟანრში. გამოფენა თვალნათლივ მოწმობს რესპუბლიკაში ხალხური შემოქმედების აყვავებას, ბევრი ძველებური ხელობის აღორძინებას.

საქართველოს ბუნების ლამაზი ფერები, მისი ხალხის ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის ისტორია, რესპუბლიკის შესანიშნავ ადამიანთა სახეები გაცოცხლებულია ფერწერულ ტილოებში, გრაფიკულ ნახატებსა და ქანდაკებებში. ავტორთა შორის არიან სოფლის მასწავლებელი დ. ნავროზაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. ბებიაშვილი, სტამბის მუშა გ. ხუბაშვილი, კოლმეურნე მ. ოაძე, ექიმი დ. ფუტკარაძე და სხვები.

თანამედროვე ხალხური კერამიკა წარმოდგენილია ფორმათა მთელი მრავალფეროვნებით. თვალს ხვარებს ლამაზი ჩუქურთმით შემკული თიხის ჯამები, ფიალები, სურები, დეკორატიული ვაზები, ღვინის ჭურჭელი, რომლებიც დაუმუშავებიათ ხალხურ ოსტატებს ნ. რაზმაძეს, ი. ტატულაშვილს, ვ. ბეჟანიშვილსა და სხვებს. წარმოდგენილია ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი სახეობის ნიმუშები მდიდარი კოლექცია — დეკორატიული თექა, ხალიჩები, ნაქსოვი და ნაქარგი ნიმუშები. მაღალი მხატვრული ოსტატობით ხასიათდება ვერცხლის სამკაულები და ჭურჭელი, ხეზე კვეთილობა, ინკრუსტაცია ხესა და ძვალზე მოზაიკა, ლითონმქანდაკებლობა, ხის ანეჯი. თავისი ნუქრთმით განუმეორებელია ხალხური მუსიკალური საკრავები, რომლებიც დაუმუშავებია ხის მხატვრული დამუშავების ცნობილ ოსტატს კ. ცანავას. მოსამსახურე შ. ალაბაშელის წარმოდგენილი აქვს ხისაგან გამოკვეთილი თვალსაჩინო ლიტერატურულ მოღვაწეთა სკულპტურული გამოსახულებანი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს, აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და საწარმოო გაერთიანება „სალონის“ მიერ მოწყობილი გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

(სპეინფორმი).

• • •

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები, მარცხნივ — ქართული კერამიკის კუთხე; ზემოთ — დ. ნავროზაშვილის ნამუშევარი „ხუმარაანთ ვანუა“.

ვლ. ბინზაურბის ფოტო.

ჩვენ ვაგზალზე

ბავშვებმა ბაღი ააშენეს

ბაკურიანი (საკ. კორ.) ეს მოხდა მიმდინარე წლის პირველ ივლისს. სოფელ ქვეყნობნის ცენტრში საფეიერვერკო ჩაუყარეს საშუალო სკოლის შენობას. მშენებლობის ეს სპეციალური საქმე წილად ხვდათ ქ. სოხუმის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (სოხუმი) სტუდენტებს. სტუდენტი პატრიოტები მამაცურად შრომობენ ახალშენებლობაზე, სადაც უკვე ამთავრებენ საძირკვლის ჩასხმა-აყვანის სამუშაოებს.

ჩვენ ვნახეთ სოხუმელი სტუდენტების, ამ მომავალი ტექნოლოგების საგულდაგულო შრომა. აქ სულ 31 სტუდენტი მუშაობს (ხელმძღვანელი თ. ქართველიშვილი). ქების ღირსნი არიან სტუდენტი მშენებლები დ. ახვლედიანი, ნ. ჯაფარიძე, თ. მამულაშვილი, ი. ორაგველიძე, მ. ჩუბინიძე, ტ. მიქაბერიძე, ს. ოსეფაშვილი და სხვ.

სკოლის მშენებლობა, რომელიც უახლესი პროექტით არის გათვალისწინებული, დაჯდება 258 ათასი მანეთი, იგი განკუთვნილია 320 მოსწავლისათვის. მშენებლობას აწარმოებს № 2 სამშენებლო ტრესტის ჩოხატაურის სამშენებლო უბანი (უფროსი თ. კვანტალიანი, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ლომაძე).

ბ. ჩხაიძე.

ჩვენ ვიბეჭდებით

„საქართველოს აგიტატორი“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

ინფიდი

დღეს, 23 აგვისტოს, **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, ხუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 28-32 გრადუსი, მთა რაიონებში 22-26 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, იქროლებს დასავლეთის ქარი წამში 5-9 მეტრი, მტკვრის ხეობაში წამში 10-14 მეტრი. სიძლიერისა, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 29-33, მთაში 19-23 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, იქროლებს ჩრდილოდასავლეთის ქარი წამში 5-9 მეტრი სიძლიერისა, ტემპერატურა 31-33 გრადუსი სიცხე.

სკოლას აშენებენ სტუდენტები

ეს ასეა

„ეუშაითი“ მეომრები

ნეაპოლში დაამატებრივეს შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ერთ-ერთი ხომალდის ორი ამერიკელი სამხედრო მეზღვაური. მათ ბრალად ედებათ სანტა-მარია დელ ინკორონატის უძველესი ეკლესიის ვაქურდვის ცდა. დამნაშავენი ეკლესიის ფანჯარაში მეზობელი სახლის ეივნიდან გადაძვრნენ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეამჩნიეს ამერიკელი ვაიმეომრების „მუშაითობა“ და პოლიციას შეატყობინეს.

ბოლიათი რელსებზე

ფეიეიინს რკინიგზებზე სიარული დაიწყო გიგანტურმა ვაგონ-ბაქანმა, რომლის სიგრძე 73 მეტრია, წონა — 230 ტონა; ვაგონზე მოთავსდება 700 ტონა ტვირთი და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილდება მძლავრი ლოკომოტივის საშუალებით. ვაგონ-ბაქანი დგას 64 ბორბალზე და საათში 20 კილომეტრი სისწრაფით გადაადგილდება.

თვითმფრინავის მაგივრ

ფეიეცარიელმა სპორტსმენმა ქალაქ მონტრეიდან ააგო უზარმაზარი საჰაერო გვერდი, რომლის ფრთების ფართობი ზემოდან 12 კვადრატულ მეტრს უდრის. მან ფუნჯებზე წამოიცვა წყლის თხელამფრენი და ერეკის ტბის სანაპირო ქლიდიდან ადამოხტა. მან ნარ-ნარი ფრენით ჰაერში დაჰყო 108 წუთი და 75 კილომეტრი მანძილი გადალახა.

განძი 30 სანტიმეტრის სიღრმეზე

ქალაქ ლოვეჩში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს ეპოვეს 1.364 ოქროს მონეტა, რომელთა საერთო წონა, 3.950 გრამია, ეს განძი მხოლოდ 30 სანტიმეტრ სიღრმეზე იყო ჩაფლული.

საკბეჭდის, ახალი ამბების საავტორმოსა და უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

ტელევიზია

23 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ბავშვებისათვის. ნახატი ფილმი „ფისო, მელა და მამალი“, 11.15 — ხატვრული ფილმი „ფიანო, მელა და მამალი“, 17.15 — ხატვრული ფილმი „ბავშვობა“. VIII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — სატელევიზიო დადგმა „ხმა“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის. „მოვიარეთ მთა და ბარი“. 18.45 — „ტელეტურნირი“, 19.35 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.50 — „პიდრომშენებლობა და შიდაწყლების თევზების დაცვა“, 20.15 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება XI სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი რუმინელ მსახიობთა მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ფერადი ტელევიზია. „უნივერსიადა-73“.

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — სატელევიზიო დადგმა „ბალადა სირანოზე“, 21.00 — კონცერტი, 21.40 — მხატვრული ფილმი „უკან დასახვა გზა მოგრილია“ (II სერია).

ეს ვნახოთ, ეს ქოვილჭინოთ

ქომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/შ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08458

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.